ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომის

ო ქ მ ი N4

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65 26 დეკემბერი 2018 წელი

15:00 საათი

ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომას თავმჯდომარეობდა ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე-გიორგი ივანიაძე;

სხდომას ესწრებოდა ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 13 წევრი:

/დანართი 1/

**საპატიო მიზეზით სხდომას არ ესწრებოდნენ:** ალექსანდრე ლილუაშვილი, მამუკა ნამიჭეიშვილი, ტარიელ ბარამიძე, თამარ დვალიშვილი, ნიკოლოზ დვალიშვილი, გონერი მეფარიშვილი, მარინა ღვინიანიძე, ნათია ძოძუაშვილი, ივანე მამფორია, ნანა ლილუაშვილი.

ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ-გიორგი ივანიაძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებს სხდომის დღის წესრიგი გააცნო:

# დღის წესრიგი

*მოისმინეს:*

1. ვანის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესის მიმოხილვა;
/მომხს: სალომე ფახურიძე/

2. ვანის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებს შორის სამოქმედო გეგმის ამოცანების დანაწილება;
/მომხს: სალომე ფახურიძე/

3. 2019 წელს ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმის განხორციელების მიმართულების განსაზღვრა.
/მომხს: გიორგი ივანიაძე/

*დაადგინეს:* დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

*მოისმინეს*

1. გენდერული თანასწორობის საბჭოს პირველ საკითხთან დაკავშირებით გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ივანიაძემ სიტყვა გადასცა გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივანს-სალომე ფახურიძეს, რომელმაც მიმდინარე წელს შესრულებულ აქტივობებზე ისაუბრა, გენდერული საბჭოს როლზე და საბჭოს წევრების ინდივიდუალურ და გუნდურ პასუხიმგებლობაზე გაამახვილა ყურადღება, ასევე ხაზი გაუსვა გენდერულ საკითხებზე და ცნობიერების ასამაღლებელ ადგილობრივ და რეგიონულ პროექტებში საბჭოს წევრების მონაწილეობას, კვალიფიკაციის ასამაღლებელ სამუშაო შეხვედრების გამართვას, საკანონმდებლო ინიციატივებისა და ბიუჯეტის

გენდერული ანალიზის კუთხით და საბჭოს გასვლით ვიზიტებს, რომლებიც დონორი ორგანიზაციების უდიდესი მხარდაჭერით ხორციელდება.

გენდერული საბჭოს წევრმა-ნატო დვალიშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ „აუცილებელია დატრენინგება და გადამზადება გენდერული ბიუჯეტირების ზოგად არსზე და ამ კუთხით საერთაშორისო დონეზე არსებულ პრაქტიკაზე საქართველოში არსებულ გენდერულ ბიუჯეტირებასა გენდერული მნიშვნელობის ინდექსზე, თუმცა უმჯობესია გენდერული ბიუჯეტირების შეფასება მოახდინოს საგანგებოდ მოწვეულმა სპეციალისტმა, რომელიც მოამზადებს შესაბამის დასკვნას.

გენდერული საბჭოს წევრმა-ნათია ძოძუაშვილმა სხვადასხვა პროექტების გენდერულ ჭრილში ასახვის აუცილებლობაზე ისაუბრა და წინ წამოსწია ის ინფრასტრუქტურული საკითხები, რომელიც თანაბრად არ არის მორგებული ქვეითებისთვის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. მან გამოთქვა მოსაზრება, რომ „ტროტუარების გაუთვალისწინებლობა ართულებს ფეხით მოსიარულეთა გადაადგილებას, მძღოლების უმეტესობა კი მამაკაცია, რაც გენდერული ბალანსის უხეშ დარღვევაზე მიუთითებს, ასევე აუცილებელია შეზრუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის პანდუსების მოწყობა სხვადასხვა სერვისებით აღჭურვილ დაწესებულებებთან". მან აგრეთვე ოჯახური ძალადობის პრობლემა წამოსწია წინ და მუნიციპალიტეტში შესაბამისი ინფრასტრუქტურით აღჭურვილი ქალთა სახლის აუცილებლობაზე ისაუბრა, არგუმენტად კი სხვა მუნიციპალიტეტების მაგალითი მოიყვანა. სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ივანიაძემ ამ პრობლემის მოგვარების ქმედით ნაბიჯზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ „ჩვენი მითითებით სოციალურ პროგრამებში მოხდა ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა პროგრამის გათვალისწინება, რაც მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს ძალადობასთან ბრძოლის და მსხვერპლის დაცვის თვალსაზრისით".

საბჭოს წევრმა-ეთერ ჭიჭინაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ „თუ გვინდა ღირსეულად ვუპასუხოთ ამ პრობლების გარშემო არსებულ გამოწვევებს პირველ რიგში საბჭოს შემადგენლობის ცნობიერების ამაღლებაა აუცილებელი ამ კუთხით. პრობლემას ვაწყდებით ყოველდღიურათ, რაზეც საზოგადოება დუმილით რეაგირებს, პრობლემა კი ცნობიერების დაბალი დონითაა გამოწვეული".

გენდერული საბჭოს მდივანმა-სალომე ფახურიძემ ოჯახური ძალადობასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო სიახლეებზე გაამახვილა ყურადღება და უახლოეს მომავალში სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლის მოწვევის შესახებ აცნობა საბჭოს წევრებს.

გენდერული საბჭოს წევრის, რესურსცენტრის წარმომადგენელმა-თამაზი თავაძემ იმ საკადრო პრობლემას შეეხო, რომელიც სკოლებშია წარმოდგენილი, რაც გენდერული ბალანსის დარღვევის აშკარა გამოხატულებაა, ამაზე კი მიუთითებს სტატისტიკა, რაც პედაგოგიური საქმინობის ნაკლებ პოპულარულობით, ბიუროკრატიული სირთულეებითაა გამოწვეული.

დისკუსიის ნაწილში საბჭოს წევრებმა კომუნიკაციის სტრატეგიაზეც ისაუბრეს და ხაზი გაუსვეს იმ მნიშვნელოვან ამოცანებზე, რაც ხელს შეუწყობს საბჭოს პოზიტიური იმიჯის დამკვიდრებას შიდა და გარე აუდიტორიაში, საბჭოს თემების აქტუალიზებას საზოგადოებაში და შიდა კომუნიკაციების გაუმჯობესებას, გენდერული საბჭოს წევრმა-თამარ ძნელაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ „ამ მიზნით აუცილებელია ბროშურების დამზადება და გავრცელება“ საბჭოს მდივანმა-სალომე ფახურიძემ კი ცნობიერების ამაღლების კუთხით მუნიციპალიტეტის მასშტაბით სოფლებში და თემებში პერმანენტულ სამუშაო შეხედრების აუცილებლობაზე და ადვოკატირებაზე ისაუბრა, ასევე მეწარმე ქალების გამოვლენაზე და მათ ეკონომიკურ ცხოვრებაში აქტიურ ჩართულობაზე გაამახვილა ყურადღება, “აუცილებელია იმ არასამთავრობო ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობა, რომლებიც მცირე ბიზნესით დაინტერესებულ ქალებს შესაძლებლობას მისცემს ჩაერთონ შესაბამის საგრანტო პროგრამებში“, რასაც დაეთანხმა საბჭოს წევრები.

საბჭომ განიხილა პირველი საკითხი და კენჭი უყარეს.

მომხრე -13

წინააღმდეგი - არცერთი

*დაადგინეს:*

1. ვანის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესის მიმოხილვა;

*მოისმინეს*

2. გენდერული თანასწორობის საბჭოს მეორე საკითხთან დაკავშირებით გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივანმა-სალომე ფახურიძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ „სამოქმედო გეგმა დამტკიცდა თუმცა აუცილებელია მისი შესრულების კონკრეტულ კოორდინაციაზე თითოეული აქტივობის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების დანიშვნა, ასევე თემატური ჯგუფების ჩამოყალიბება, აუცილებელია სფეროების და მიმართულებების მიხედვით ჩამოყალიბდეს თემატური ჯგუფები, სადაც გენდერული საბჭოს წევრები კომპეტენციების მიხედვით გადანაწილდებიან, თემატური ჯგუფები გენდერულ ჭრილში შეისწავლიან, მოახდენენ პრობლემის იდენტიფიცირებას და მოამზადებენ საკითხს გენდერული საბჭოს სხდომაზე განსახილველად, საბჭოს ეფექტური მუშაობისთვის მნიშვნელოვანია ისეთ სამსახურებთან აქტიური თანამშრომლობა, რომლებსაც მნიშვნელოვანი როლი აქვთ გენდერული უთანასწორობის გარშემო არსებული პრობლემების გადაჭრაში, რასაც დაეთანხმა საბჭო.

საბჭომ განიხილა მეორე საკითხი და კენჭი უყარეს.

მომხრე -13

წინააღმდეგი - არცერთი

*დაადგინეს:*

2. ვანის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებს შორის სამოქმედო გეგმის ამოცანების დანაწილება;

*მოისმინეს*

3. გენდერული თანასწორობის საბჭოს მესამე საკითხთან დაკავშირებით საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ-გიორგი ივანიაძემ იმ სამომავლო გეგმებზე ისაუბრა, რომლებიც უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის სრულყოფილ შესრულებას, მან გამოთქვა მოსაზრება, რომ „აუცილებელია საწყის ეტაპზე გენდერული თანასწორობის შესახებ საინფორმაციო ბაზის შექმნის მიზნით, რაც ასაკობრივ ჭრილში სტატისტიკის კვლევას მოიცავს, მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებული ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებთან აქტიური თანამშრომლობა, გენდერული საბჭოს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული იმ პუნქტების შესრულება, რომელიც საწყის ეტაპზეა შესაძლებელი".

გენდერული საბჭოს წევრმა-ნატო დვალიშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ „აუცილებელია შემუშავდეს კონკრეტული გეგმა, სადაც ასახული იქნება საბჭოს წევრების კომპეტენციები, საბჭოს ყოველწლიური კალენდარი, სადაც აღწერილი იქნება ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენები გენდერული კუთხით. განხორციელდეს სხვადასხვა აქტივობები:

1. კონფერენცია, პრეზენტაცია;
2. ადგილობრივ დონეზე შეხვედრები;
3. სოფლებში და თემებში გასვლითი სამუშაო შეხვედრები.

გენდერული საბჭოს გადაწყვეტილება სარეკომენდაციო ხასიათის უნდა იყოს და გააკონტროლოს გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმის აღსრულება".

საბჭომ განიხილა მესამე საკითხი და კენჭი უყარეს.

მომხრე -13

წინააღმდეგი - არცერთი

*დაადგინეს:*

3. 2019 წელს ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმის განხორციელების მიმართულების განსაზღვრა.

საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ-გიორგი ივანიაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

გიორგი ივანიაძე ----------

ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მდივანი

სალომე ფახურიძე ----------

26.12.2018 წ

ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრების

N4 სხდომაზე დასწრების ფურცელი

| N | წევრების სახელი და გვარი | ხელმოწერა | სხდომის ჩატარების თარიღი |
|---|---|---|---|
| 1 | ალექსანდრე ლილუაშვილი | | 26.12. 2018 წ. |
| 2 | გიორგი ივანიაძე | | |
| 3 | ეთერი ჭიჭინაძე | | |
| 4 | თამარ შენგელია | | 26. 12. 2018 წ |
| 5 | თამარ დვალიშვილი | | |
| 6 | ნიკოლოზ დვალიშვილი | | |
| 7 | გონერი მეფარიშვილი | | |
| 8 | მარინა ღვინიანიძე | | |
| 9 | ნათია ძოძუაშვილი | | 26.12.2018წ |
| 10 | გელა ჩიკვაიძე | | 26.12.2018წ. |
| 11 | სალომე ფახურიძე | | 26.12.2018წ. |
| 12 | თამარ ძნელაძე | | 26.12.2018წ. |
| 13 | მამუკა ნამიჭეიშვილი | | |
| 14 | მიხეილ სვანაძე | | 26.12.2018წ. |
| 15 | გვანცა სიგუა | | 26.12.18.წ |
| 16 | თამაზი თავაძე | | 26.12.2018წ |
| 17 | ივანე მამფორია | | |
| 18 | ლელა ჩიკვაიძე | | 26.12.2018წ. |

| | | | |
|---|---|---|---|
| 19 | ტარიელ ბარამიძე | | |
| 20 | ნანა ლილუაშვილი | | |
| 21 | აპოლონ რამიშვილი | | |
| 22 | ნატო დვალიშვილი | | |